


სასოფლო გაზეთი

თბილისში
ბიჭვინთაძის ქ.



გაზეთის ფასი:

თბილისში	ბაზუგავენლოთ:
გარეშე ადგილებში:	მან.
რთის წლისა — 4 მან.	— 3
ახვერის წლისა — 3 —	— 2
ამის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

პირველი წელიწადი

ბამოლის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღწერს: ВЪ Тифлисъ, въ контору редакци „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

შოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თბილისში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

№ 16. შაბათი.

II.

23 აგვისტოს 1869 წ.

რადაქცია უმოკრილესათ სთხოვს იმ პაღის-მოგზაურებს, რომელთაც აქამდე არ გაზეთის ფული არ უამოუბრანით, ხელა გამოგზავნონ ის „სასოფლო გაზეთის“ რადაქციის სახელზე.—

შინაარსი:

შინაგანი ამბები.—სამეცნიერო ნაწილი: „მთვარე“.—სამეურნეო ცნობები. სასარგებლო და მანებელი ცხოველები: „ლოკოტივები და ობობები“.—საეკონომიკო ცნობები.—რამდენიმე სიტყვა ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე.—სურათი ყოველ დღივ ცხოვრებისა ერთს პატარა ქალაქში.—სხვა და სხვა ამბავი.—ლექსი: „ჩემი ანა“.—უჩინა ტელეგრაფი.—ქუთაისის შემოსავალი—გასავალი 1869 წ.—ბანცხადებები.—

შინაგანი ცნობები.

ქუთაისის სამხედრო და სამოქალაქო ლუბერნატორმა გრ. ლევაშოვმა ამ წლის 22/25 ივლისს გაუგზავნა შემდეგი მიწერილობა ქუთაისის გუბერნიის უფლის ნაჩაღნიკებს: „მე შევნიშნე, რომ ჩემ ხელ ქვეშ მყოფს გუბერნიაში გამოჩნდა პირუტყვის ჭირი და რომ პირუტყვი უფრო ხშირათ ჰხდება ავთა სიმბირის ჭირით, რომლისგანაც ქუთაისის უფლისში მოკვდა 20 და სენაკისაში 62 თავი საქონელი; ამის გამო ჭირის გავრცელების შემცირებისა და მოსპობისათვის, მე თქვენ გაუწყებთ, რომ იმ ზომებთ გარდა, რომელნიც მოხსენებულნი არიან სამკურნალო უსტავის მე 1724 სტატიაში, მოახდინოთ შემდეგი განკარგულება, თუ თქვენ ხელქვეშ მყოფს უფლისში გაჩნდეს შემოხსენებული პირუტყვის ჭირი: 1) გამოუცხადეთ მამასახლისებს, რომ,

როცა იმათ საზოგადოებაში ჭირი გაჩნდება, შეატყობინონ ეს სხვა მამასახლისებსაც და კარგათ უგდონ საქონელს ყური და იხმარონ ის ზომები, რომელნიც შემოხსენებულ სტატიაში ნათქვამია.—2) უნდა ეცადონ, რომ იმ სოფლის საქონელი, სადაც ამოჩნდა ჭირი, არ გაერიოს სხვა სოფლების საქონელში და არც დიდ შარაზე გამვლელ საქონელს მიეკაროს ის. 3) თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ ჭირით მომკვდარი საქონლის მძოვრი დაიშაროს, რაც შეიძლება, ღრმით და გაშლილ ადგილზე.—4) ავთამყოფი პირუტყვის მომვლელი ძალიან ფრთხილათ უნდა იყოს: უხელთათმნო, ან ზეთ წაუცხებელი ხელი არ უნდა მოჰკიდოს ნატკენ ალაგას და ვისაც ხელი მოჭრილი აქვს, ან მუწუკი აქვს ზედ, იმან სრულგებთ არ უნდა მიეკაროს პირუტყვის ნატკენ ადგილას; ამას გარდა ყოველთვის მიკარების შემდეგ უნდა დაიბანონ ხელები კარგათ ძმარ-წყალში, ან მარილ-წყალში. 5) შოველ კვირა შემატყობინეთ-როგორც მდგომარეობა ჭირი.—(Сб. правит. распор. по Кут. Губ., № 29).

უფ. სემენენკო იწერება ოზურგეთიდან „Кавказъ“ ში რომ 29 ივლისს, საღამოს 6 ექვს საათზე შემოქმედში, სტეფანწმინდაში, ბახვაში, ოსკანაში და ზოგიერთს სხვა სოფლებში იყო საშინელი ქარიშხალი, რომელმაც წაქცია და დაამტვრია ბევრი სიმინდი და ღომი ყანებში; ამ ქარიშხალმა ამას გარდა გააფუჭა შემოხსენებულ სოფლებში 150 ნიგვის ხე, 84 ხეხილის და 75 მაღლარის ხე. ამ


უბედურებამდი ამ სოფლებში ყველა კარგ მოსავალს მოელოდა; როგორც ამბობენ, ქარიშხალმა ოთხი ათასი მანეთის ზიანი მისცა მცხოვრებლებს.—

—პრაგის კორრესპონდენტი Neue Freie Presse ის ამბობს, რომ ჩეხური ჟურნალები ახლა არ ურჩევენ ჩეხებს გადასახლებას რუსეთში (განსაკუთრებით ძავეკაზე); ამის წინ კი ესევე გაზეთები ურჩევდნენ გადასახლებას და დიდს სარგებლობასაც ჰპირდებოდნენ ამ გვარის გადასახლებით. პეტერბურგიდან სწერენ გაზეთ Покрокъ-ში, რომ გადასახლების საქმე ძავეკაში ძალიან მძიმეთ მიდისო. მაზაფხულზე და ზაფხულში დიდი იმედი ჰქონდათ გადმოსახლებისა, მაგრამ არ გამართლდაო: ახალი კოლონიისტების რიცხვი ძალიან მცირეა. განსაკუთრებით მძიმეთ მიდის ჩეხების გადმოსახლება; ბოლოდროს სწრაფლათ მოისპო გადმოსახლება; ეს უთოოთ იმის მიზეზია, რომ პირველი გადმოსახლებულები არ ურჩევენ გადმოსვლას, რადგან თითონაც შესცდნენ, რომ წინდაუხედავთ გარდასახლდნ და ახლა კი ხედავენ, რომ შინა ჰსჯობდა. ძავეკაზე გადმოდიან ახლა მხოლოთ იმისთანა ჩეხები, რომლებსაც აღარა აქვსთ რა დასაკარგავთ.

სამეცნიერო ნაწილი.

მთხარა.

წინანდელი სტატიებიდან შევიტყუეთ ჩვენ, რომ მზე და ჩვენი დედა-მიწა ვაშლივით მგრ-



ვლები არიან და მოძრაობენ; ესლა უნდა ვთქვათ, რომ მთვარეც ისე მგზავლად, როგორც ეს ზემოხსენებული ზეციური სხეულები. სიდიდით კი მთვარე ორმოცდა ათჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ჩვენი მიწა; ასე რომ დედამიწა რომ ვაშლის ოდენით ჩავაგდოთ, მთვარე ყურძნის მარცვალზე მეტი არ იქნება; როგორც მიწა, მთვარეც თავის ღერძზე ტრიალებს და ამას გარდა ის მიწას უფლის გარშემო; ერთხელ თავის ღერძზე და მიწის გარშემო შემოტრიალებას მთვარე ოცდარვა დღეს (ერთს თვეს) უნდება. მიწა და მთვარე ორივე ერთად უფლიან მზეს; ამას უნდება ერთი წელიწადი. აქედან ვხედავთ ჩვენ, რომ მთვარეს სამ ნაირი მოძრაობა აქვს: პირველათ, ის ბზრიალასავით თავის ღერძზე ტრიალებს (ოცდა რვა დღეში ერთხელ); მეორეთ, უტრიალებს მიწას (აგრეთვე ოცდარვა დღეში ერთხელ) და მესამეთ, ის და მიწა, ორივე ერთად, მზეს გარშემო უფლიან (წლის განმავლობაში).

მიწიდან მთვარემდი, სწავლულების გამოანგარიშებით, სამას ორმოცდა ათი ათასი ვერსია; ასე რომ მიწასა და მთვარეს შუა რომ რკინის გზის გაკეთება შეიძლებოდაც, იქ მისვლას თითქმის წელიწადსა და ნახევარს მოუნდება კაცი (საათში რომ რკინის გზამ ოცდარვა ვერსი გაიაროს).

მთვარეს თავის საკუთარი სინათლე არა აქვს; ის, როგორც ჩვენი დედა-მიწა, განათლებულია მზის სხივებით, რომლებსაც ის უკუნაქცევს ისე, როგორც, მაგალითათ, სარკე, მზის პირდაპირ რომ დაიჭიროთ. მთვარეს რომ თავის საკუთარი სინათლე ჰქონდა, ჩვენ მუდამ მრგვალი გვეჩვენებოდა ის, როგორც მზე; მაგრამ მთვარეს ვხედავთ ხან მრგვლათ, ხან ნახევარ-მგზავლათ და ხან ნამგალივით; ეს სხვა და სხვა ფერათ მთვარის ჩვენება წარმოსდგება იმისაგან, რომ ის ყოველთვის ერთსა და იგივე ალაგას არ იმყოფება.—**მ**ცდა რვა დღის განმავლობაში მთვარე სამჯერ იცვლის სახეს: ახალი მთვარე, საესე მთვარე და ძველი მთვარე.—

მხლა ვნახოთ-რისგან წარმოსდგება ის, რომ ჩვენ სხვა და სხვა გვარად გვეჩვენება მთვარე.—**დ**ედგათ ოთხკუთხიან სტოლზე სანთელი და დავიჭიროთ ხელში საზამთრო, ან სხვა რომელიმე მრგვალი ნივთი; ჩვენკი სანთელსა და საზამთროს შუა უნდა დავდგეთ

ისე, რომ სანთლის სხივი პირდაპირ საზამთროს ეცემოდეს; მაშინ დავინახავთ, რომ ის ნახევარი საზამთროსა, რომელიც ჩვენსკენ არის, განათლებული იქნება ისე როგორც საესე მთვარე. მხლა ერთს სტოლის ყურში დავდგათ სანთელი, მეორეში საზამთრო და მესამე ყურეში ჩვენ თითონ დავდგეთ; მაშინ დავინახავთ, რომ იმ გვერდის ერთი ნახევარი, რომელიც ჩვენსკენ არის მოშვერილი, განათლებულია და მეორე კი დაჩრდილული; მაშა სადამე ახლა მარტო მეოთხედი საზამთროს ნაწილია განათლებული; ამნაირი შეხედულობა აქვს მთვარეს, დაბადების შემდეგ ერთი კვირა რომ გაივლის. რამდენათაც უფრო მიუახლოვდებით ჩვენ საზამთროს, იმდენათ უფრო ნაკლებათ ვნახავთ განათლებულ მხარეს, ასე რომ სულ რომ მიუახლოვდებით, დავინახავთ მარტო საზამთროს დაჩრდილულ გვერდს.—**ბ**ხლა ჩვენი თავი რომ დედა-მიწათ ჩავაგდოთ, სანთელი—მზეთ და საზამთრო მთვარეთ და შეგადაროთ ეს მაგალითი მთვარის სახის ცვლას, მიხედვებით რომ ეს სახის ცვლა დამოკიდებულია მიწის და მთვარის სხვა და სხვა მდგომარეობაზე და მზის სინათლეზე.—

ახალი მთვარის გამოჩენამდის ან, როგორც ჩვენში ამბობენ, მთვარის დაბადებამდის, ორი დღის განმავლობაში, ის სულ არა სჩანს, ამიტომ რომ მაშინ ის დაჩრდილული გვერდით არის ჩვენსკენ მობრუნებული; ორი დღის შემდეგ დაიბადება მთვარე და ამ დროს ის ნამგალსა ჰგავს.—**ახ**ლ მთვარეზე ხშირი წვიმიანობა იცის.—

შეიდი დღის შემდეგ მთვარეს ეცვლება სახე; ის ჰგავს შუაში გაჭრილ მრგვალ პურსა. ამის შემდეგ მთვარე ყოველ დღე მატულობს, სანამ სავსეთ არ შეიქნება. მერე კიდევ იწყებს კლებას, ისევე ნამგალს დაემზგავსება (ძველი მთვარე) და ბოლოს მთვარე აღარა სჩანს; შემდეგ კიდევ გამოჩნდება, მატულობს, ჰკლებულობს და იმალება; ამდონ ნაირ სახეს იცვლის ხოლმე მთვარე ყოველ თვეში.—

მთვარე ძალიან წელა ტრიალებს თავის ღერძზე; ერთხელ შემოტრიალებას ის უნდება ოცდარვა დღე (დედა-მიწა კი, ჩვენ ვიცით, ერთს დღესა და ღამეს უნდება); ასე რომ მთვარის ერთი დღე ედარება თოთხმეტს ჩვენ დღეს და ერთი ღამე-თოთხმეტს ღამეს.—


მინც მთვარეს დაკვირვებია, შენიშნავედა იმაზე სხვა და სხვა ნაირ ლაქებს; დურბინდით

(ტელესკოპით) რომ შეხედოთ მთვარეს, იმწამსვე მიხედვით, რომ ეს ლაქები მთვარის მთვარე და ბარია. ამ მთვარის მთვარისა და მზის ღერძის ნახვა ყველას შეუძლია, ტელესკოპში რომ გაიხედოს.

სწავლულებმა ჯერ ბეჯითათ არ იციან — არის მთვარეს გარშემო ჰაერი, ისე როგორც მიწის გარშემო, თუ არა. **მ**თუ სწავლულებმა მიაწიეს იქამდი, რომ შეიტყეს ჰაერის ყოფნა მთვარის გარშემო, მაშინ, უეჭველია, იქ ცხოველებიც იქნებიან; მაგრამ იმ ცხოველებსა და დედა-მიწის ცხოველებს შუა დიდი განსხვავება იქნება, რადგან მთვარეზე და მიწაზე სულ სხვა და სხვა ბუნებაა.—
ს. მ.

ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოთ ხეები მრავალ-წლოვანი მცენარეები არიან, ესე იგი, რომ ისინი რამდენიმე წელიწადს სძლებენ; მაგრამ იმის საჩვენებლათ-თუ რა დიდ ხანს სძლებენ ზოგიერთი ხეები, მე წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს. ხის ხნიერობა ადვილი შესატყობია: ზოგიერთი ხე რომ გარდაჭრათ, ნახავთ რომ ღერი დაყოფილია გარეშემო მრგვალი, მოშავო ხაზებით; სწავლულებმა გამოიკვლიეს, რომ ყოველ წელიწადს ხეს თითო მრგვალი ხაზი უკეთდება, ასე რომ რამდენთ ამისთანა სიმრგვალე აქვს რომელიმე ხეს, იმდონი წლისაც არის ის. ამ ნაირათ გამოიკვლიეს, რომ ანგლიაში არიან ისეთი მუხის ხეები, რომელთაც რვაას სიმრგვალეზე მეტი აქვთ, ესე იგი, რვაას წელიწადზე მეტის არიან. **ი**ორკშირში (ანგლიაში) არის ერთი ჯანდარი, რომელიც 1770 წელში, ერთი სწავლულის გამოანგარიშებით, იყო 1200 (ათას ორასი) წლისა; მეორე ჯანდარი, რომელიც საყდრის გალავანში დგას, მეფე-ლინის გამოანგარიშებით 1660 წელში, 2880 (ორი ათას რვაას ოთხმოცი) წლისა იყო, ასე რომ ახლა ეს ხე (3,000) სამი ათასი წლის მეტია. **ა**ფრიკაში მონახეს იმისთანა ფიჭვის ხეები და ერთგვარი ხე, სახელათ ბოაბაბი, რომლებიც რამდენიმე ათასი წლის იყვნენ; ერთი ბოაბაბი, მაგალითათ, ხუთი ათასი (5,000) წლის იყო.

აქედან შეიძლება დაახლოებით გამოიანგარიშოს კაცმა—რამდონ წელიწადზე ნაკლები არ არის, რაც ჩვენი დედა-მიწა გაჩენილა. **ა**ი რა ნაირათ: ის ბოაბაბი, რომელიც ახლა



ხუთი ათასი წლის არის, ხომ პირველი თავის გვარი ხე არ იქმნებოდა; იმას უეჭველია, მამაც ეყოლებოდა, პაპაც, პაპის მამაც, პაპის პაპაც და კიდევ სხვა ბევრი წინაპარნი. მტკვით, რომ ის ბოაბაბი, რომელიც ეხლა დგას აფრიკაში, მეთვე მოდგმას ეკუთვნის; ეხლა რომ ჩავადლოთ, რომ თითო მოდგმა ხუთი ათასს წელიწადს სძლებდა, ჩვენი ანგარიშით გამოვა, რომ პირველათ გაჩენილი ბოაბაბის შემდეგ გასულა ორმოცდა ათი ათასი (50,000) წელიწადი; ის ხე თუ ქვეყნის დაარსების დროს არის გაჩენილი, მაშინ, უეჭველია, რომ ქვეყნის დაარსების შესდევაც ორმოცდა ათი ათასი წელიწადი გასულა. — მს გამოანგარიშება, რასაკვირველია, სრულებით ბეჯითი არ არის: შეიძლება რომ იმ ხეებმა ათს მოდგმაზე მეტი გასძლეს და შეიძლება — ნაკლებიც, მაგრამ სხვა ნაირი გამოანგარიშებით სწავლულებმა იქამდი მიაწიეს, რომ ამბობენ დედამიწის დაარსების შემდეგ ორას, ან სამას ათასს წელიწადზე ნაკლებს არ გაუელია.

რასაკვირველია, ზოგიერთებს ეგონება, რომ ეს რიცხვები ეწინააღმდეგებიან ღაბადების სიტყვებს; მაგრამ თვით განათლებული სამღვდლო პირები სწერენ, რომ ამაში სამღვთო წერილის წინააღმდეგი არა არის რაო; ისინი აი როგორ ხსნიან ამ მეცნიერებისა და ღაბადების გარეგან უთანხმოებას: საფიქრალია, რომ უწინდელ დროში დღესა და წელიწადს სხვა ნაირი მნიშვნელობა ჰქონდა; შესაძლებელია, რომ რასაც ჩვენ ეხლა წელიწადს, ან საუკუნეს ვეძახით, ისინი საათს, ან დღეს უძახოდნენ; ასე რომ იმათი დღე ჩვენს ასს ან ათასს წელიწადს ედარება; ამას გააღა და ძველებს იგავით ლაპარაკი უყვარდათ. ძველა ესენი რომ მივიღოთ სახეში, მაშინ ჩვენ მივხვდებით, რატომ არის ნაჩვენები ისე ვოტა ხანი ქვეყნის დაარსების შემდეგ ღაბადებაში.

სამეურნეო ცნობები.

ზაზ. „ღონის უწყებაში“ დაბეჭდილია „მისკის სამეურნეო საზოგადოების“ მოქმედების განხილვა, რომლიდანაც ვსცნობთ, რომ საზოგადოებას* მოუნდომებია განთავისუფლება პურის ვაჭრობაში სამზღვარ გარეთის მტკვებიდან და მაკლერებიდან და გარდაუწყვეტია ტავანროგში პურის გასასყიდელი აგენტობის დაწესება. მართს ამ საზოგადოების

სხდომაში უფ. ძალინოვსკის უჩვენებია-რა ზიანი მოაქვს მეოჯახებისთვის შუამავლებს (ვაჭრებს), რომლებიც ჰყიდულობენ ღონზე მოყვანილს პურსა და მერე სამზღვარს გარეთ გააქვთ გასასყიდლოთ და ბევრს იგებენ; 1867 წელში საუკეთესო პური ტავანროგში ჩეტევერტი 14 მანეთით იყიდებოდა; ეს პური ანგლიაში 23 მან. გადიოდა და ისპანი-აში 30 მან.; ასე რომ პურის გამტანს, გზის ხარჯს გარდა, 5—10 მანეთი მოგება რჩებოდა თითო ჩეტევერტზე. უფ. ძალინოვსკი ამბობს, რომ ჩვენი (მისკის) „საზოგადოება“ რომ მოილაპარაკებდეს და დაიჭერდეს საქმეს „რუსის საპარახოლო და სავაჭრო საზოგადოებასთან“ (Общ. Порух. и Торг.), ეს ორივესთვის-ჩვენთვისაც და იმ საზოგადოებისთვისაც, უეჭველია, სასარგებლო იქმნება. — „რუსის საპარახოლო და სავაჭრო საზოგადოებას“ აქვს ხომალდები, რომლებზედაც ის გაიტანდა ჩვენს პურს სამზღვარს გარეთ და პირდაპირ მსაჭიროებლებს მიჰყიდდა; მოგება და წაგება, რასაკვირველია, საერთო იქმნება. ის მოგება, რომელიც აქვთ ეხლა ჩვენი პურის ვაჭრობით სხვა და სხვა შუამავალ ვაჭრებს, მაშინ ჩვენვე დაგვრჩებოდა.

ჩვენ რომ ამ მაგალითს ყურადღებას მივაქცევდეთ, მე მგონია, ძალიან კარგი იქნება. ჩვენშიც ხომ ისეა, როგორც იქ: მის მაგიერ ართ რომ ჩვენი ნაწარმოებით ჩვენვე ვისარგებლოთ, სარგებლობს სულ სხვა პირი — რომელიც ვაჭარი, რომელიც დაივლის ხოლმე ჩვენში სოფლებს, ყიდულობს იაფათ გლეხსაგან მოწვეულს ღვინოს, პურს და სხ., მიაქვს ესენი ქალაქებში და სამი-ოთხი იმ ფასათ ჰყიდის, რაც თითონ უჯდება; მის მაგიერ ართ რომ თითონ მწარმოებელმა მიყიდოს იმას, ვისაც პირდაპირ უჭირს და ამ რიგათ თითონ მოიგოს, იგებს ვილაც ვაჭარი, რომელსაც ნამუშევარის მოყვანაში არაფერი შრომა არ გაუწევია. მს არც მსაჭიროებლისთვის არის სასარგებლო და არც გამყიდველი — მწარმოებლისთვის, რადგანაც ვაჭარი ორივეს ჰყვლევს; მწარმოებლისაგან ყიდულობს ძალიან იაფათ, იმას ნამდვილ ფასზე ნაკლებს აძლევს და მსაჭიროებელს კი ნამდვილ ფასზე მომატებულს ართმევს; და ამ რიგათ მარტო ვაჭარი სარგებლობს. — ზოგიერთმა ძახეთის მებატონეებმა გაიგეს რომ, შუამავლებს (ვაჭრებს) იმათსა და მსაჭიროებ-

ლებს შუა, ზიანი თუ არა, არაფერი სარგებლობა არ მოაქვთ მათს ღვინის ვაჭრობაში. —

ამიტომ, მე მგონია, იმათ ძალიან კარგი იქნება, რომ რამდენიმე კაცმა ერთათ მოიყარათ თაფი და სამი, თუ ოთხი ღვინის სარდაფები გახსნეს მბილისში. როგორც ვაფიგეთ, ამ ღვინის სარდაფების საქმე ძალიან კარგათ მიდის და ამის გამო, ამბობენ, ბევრს უნდა ამ საქმეში მონაწილეობის მიღება; ჩვენი აზრით, რაც უფრო მომატებული წვევები იქნება ამ კამპანიაში, ის სჯობია, ამიტომ რომ უფრო დიდი ვაჭრობის გამართვა შეიძლება; მე არ ვიცი ვაქვთ „ძახეთის მებატონეებს, ღვინო სამზღვარს გარეთ, თუ არა. თუ ჯერ არა, შემდეგში, როცა ღონისძიება მოემატებათ, იმეღია, ამ საქმესაც მიაქცევინ ჯეროვან ყურადღებას. ამრიგათ ისინი მოახდენენ იმისთანა საქმეს, რომელიც მარტო ერთს კაცს ძალიან გაუჭირდებოდა. მსეც კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც გვიმტკიცებს — რასასარგებლოა ვაჭრობაში და საზოგადოათ ყოველ საქმეში რამდენიმე პირის შეერთება და ერთათ თანხმობით რომელიც საქმის ხელის მოკიდება. რასაკვირველია, ყოველი ამ გვარი საქმე მარტო მაშინ წავა კარგათ და რიგინათ, როცა წვევებს, ან კამპანიის საქმეების მმართველებს კარგათ ესმისთ ვაჭრობის ანგარიში და თუ ერთ შორის განხეთქილება და უთანხმოება არ მოხდება. — ამ ნაირათვე შესაძლებელია კამპანიის შედგენა და მალაზიების გახსნა პურისა და სხვ. ნამუშევარის გასასყიდლოთ; მე მგონია ეს ღვინის სარდაფებზე ნაკლებს სარგებლობას არ მოიტანს.

მებატონეებმა თუ შეერთდენ ერთი საქმისთვის და დაიწყეს საქმე, მე მგონია, გლეხებსაც შეუძლიათ ამრიგათვე შეერთდენ და მოჰკიდონ რომელიც სასარგებლო საქმეს ხელი. მრი სამი სოფელი რომ შეერთდეს ერთად ადვილათ გახსნის ქალაქში პურის, ღვინის და სხვ. ნამუშევარის მალაზიას და, რაც გასასყიდელი დარჩებათ, მიიტანებენ ამ მალაზიაში და გაჰყიდნიან. მრ-სამს სოფელს, ერთათ შეერთებულს, შეუძლია ამ საქმის მოხდენა და, თუ ანგარიშით და თავიანთ წიყვანებენ ვაჭრობას, უეჭველია, ბევრი სარგებლობაც ექნებათ. —



მრთს წინანდელ გაზეთის №-ში, როცა წვიმაზე ვლაპარაკობდით, ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე თევზის, ბაყაყების და სისხლის (პატარა მცენარეების) წვიმის მაგალითები. მაშინვე ავხსენით ჩვენ, რომ ამ ნაირი წვიმები იმისაგან წარმოდგება, რომ ქარიშხალი აიტაცებს ხშირათ მალლა ზღვის, ან რომელიმე მდინარის წყალსა და წყალთან ერთათ სხვა და სხვა ცხოველებსაც და მცენარეებსაც, რომლებიც მერე წვიმასთან ერთათ ვარდებიან ძირს.—

შარშანწინ მოხდა ერთი ამისთანა გასაოცარი შემთხვევა ოსმალეთში; ერთს იქაურ მაზრაში შარშანწინ იყო საშინელი შიმშილი და ამ დროს მოვიდა პურის წვიმა ა. ხლხი ჰკრეფდა ამ ზეციდან ჩამოცვენილს ხორბალს, ამზადებდა, როგორც პურს ამზადებენ, და სჭამდა.—იქაურ ფაშას მოუვიდა ხონტქრიდან ბრძანება—ეს ამბავი დაწერილებით შემატყობინე და ამ პურის ჭაშნიკიც გამომიგზავნეო. ფაშამ იმწამსვე გაუგზავნა ჭაშნიკი და მოახსენა, რომ ეს ხორბალი მარტის დასაწყისში მოცვიოდა ზეციდან წვიმასთან ერთათაო; ამას გარდა ფაშა სწერდა, რომ ერთს მაზრაში იმდენი ხორბალი ჩამოცვინდა, რომ თითო კაცმა ხუთ—ხუთი ოყა მოკრიფა მიწაზე, ასე რომ პური იმწამსვე გაიფუტაო.

ბოლოს ამოჩნდა, რომ ეს ზეციდან ჩამოცვენილი ხორბალი მართლა ხორბალი არ იყო, მაგრამ ძალიან კი ჰგავდა იმას; ის იყო ერთნაირი ხავსის მარცვალი, რომელიც მალალ კლდეებზე მოდის; ქარიშხალი ძალიან შორს წაიტაცებს თურმე ამ მარცვალს და მერე ის რომელიმე ალაგს ჩამოცვინდება.—ამ მარცვლისგან გამომცხვარი პური ძალიან გემრიელი იყო, ასე რომ ხალხი დიდს სიამოვნებით სჭამდა. ის კიდევაც დათესეს რამდენიმე ჯერ, მაგრამ არ გაიხარა.—

სასარგებლო და მავნებელი ცხოველები. ლოკოკინები და ოპოპიები.

ის ლორწოიანი ლოკოკინები, რომლებსაც ყოველი მებოსტნე და მებაღე ხშირათ ნახავს ხოლმე რომელიმე მცენარის ფურცელზე, მავნებელი არიან, ამიტომ რომ სჭამენ ხეების და წვანილეულის ნორჩს და ახალს ფოთლებს. თუმც მთელი ლოკოკინას ტანი უძელო და რბილია, მაგრამ ენაზე კი

სავარცხალივით აქეთ იმათ დასობილი პატარა პატარა კბილები, რომლებითაც ძალიან ადვილათ სჭრიან და ჰღიჭენ ფოთლებს; ამას გარდა ქვედა ყბაც მაგარი, რქისა აქეთ და ესეც ეხმარება იმათ ჭამაში.—შველასზე უფრო ავნებენ ისინი კომბოსტოს, სხვა და სხვა ფხლსა და სალათას.—ლოკოკინებს უყვარს სინოტიო და სიბნელი, ასე რომ სიცხეში ისინი გარეთ ვერ გამოჩნდებიან; ამდროს ისინი დამალული არიან ხეში, კლდეში ან ფურცლებს ქვეშ. ეს ამიტომ არის, რომ სიცხეში ადვილათ გაუშრება იმათ ლორწოიანი ტყავი და მერე განძრევა აღარ შეუძლიათ და ხშირათაც კვდებიან ამის გამო.

მინდვრებში და ბაღებში სცხოვრობს ცისფერი, პატარა და შიშველა (უნაჭუჭო) ლოკოკინა, რომელსაც ჰქვია სახელათ მინდვრის ლოკოკინა; ეს ლოკოკინა საშინლათ სჭამს სალათას, გოგრას, ახალ ამოსულ პურს, მუხუდოს და სხვ. და ამით ხანდისხან საშინელი ვნება მოაქვს. 1816 და 1817 წლები საშინელი წვიმიანი წლები იყვნენ და ისე გამრავლდა მაშინ ეს ლოკოკინა ბერძანის ბაღებში და ისე გააფუჭა ნამუშევარი და ბოსტნეული, რომ ბევრგან შიმშილი გაჩნდა და არ იცოდნენ რა ექნათ.

ამას გარდა არის კიდევ მეორე უფრო დიდი და უნაჭუჭო მინდვრის ლოკოკინა, მაგრამ, რადგანაც ის ძალიან არ მოშენდება, ამიტომ მაგდენ ვნებას არ აძლევს არც ბაღებსა და არც ბოსტნებს.—მაგრამ ერთნაირი აჭრელებული ნაჭუჭიანი ლოკოკინაა, რომელიც უფრო ხშირათ ხეზე სცხოვრობს და ფოთლებს სჭამს; ეს ლოკოკინა კი ძალიან ავნებს ხოლმე ხეხილს და ამიტომ ყოველმა მებაღემ უნდა ეცადოს, რომ რაიმე გზით გააწყლოს ისინი.—ამას წინეთაც ვთქვი და ეხლაც ვიმეორებ, რომ ვისაც ამ მტრებისგან განთავისუფლება სურს, უნდა ეცადოს, რომ ბაღში თხუნველა და მყვარები გაჩნდეს; ესენი ისე გულსმოდგინეთ სჭამენ და აწყალბენ ყოველ გვარ ლოკოკინებს, რომ ერთსაც აღარ დასტოვებენ; იმათ გარდა იმათ ქათმებიც და იხეებიც კარგა მადიანათ სჭამენ.—

ობობიები საზოგადოთ სასარგებლო ცხოველები არიან კაცისათვის, ამიტომ რომ ისინი სჭამენ იმისთანა ბუზანკლებს, რომლებიც კაცს ათას ნაირათ ავნებენ. თუმც ზოგი იმათაგანი გესლიანები არიან, მაგრამ ეს

გესლი უფრო ხშირათ მატყობს ბუზანკლებს ვნებს, რომელთაც ისინი სჭამენ და კაცს კი, მორიელის გესლის მეტი, (რომელიც ობობიებსვე ეკუთვნის), სხვებისა ბევრს ვერას დააკლებს.—ობობიები საზოგადოთ საშინელი შეუწყნარებელი და სასტიკი ხასიათის ცხოველები არიან, ასე რომ თითქმის ერთმანერთსაც არ ზოგვენ, თუ ერთი მეორეს მოერია. მავლობის დროს მამალი ობობია, რომელიც დედალზე ბევრათ უფრო პატარა და სუსტია, თუ ძალიან ფრთხილათ არ იქნა, ძალიან ადვილათ თავის თავს წააგებს, სიამოვნების მიღების ნაცვლათ; თუ ძალიან ოსტატურათ და ფრთხილათ არ მივიდა მამალი ობობია დედალთან, თავის ბუნებითი კანონის ასასრულებლათ, დედალი მოუბრუნდება იმას, ეცემა გამწარებული და ერთს წამში მოჰკლავს და მერე შესჭამს გემოიანათ. „მე ხშირათ მიყურებია, ამბობს სწავლული შობტი, ობობიების მავლობაზე; ერთხელ მე შეენიშნე, რომ მამალი ობობია საშინელი სიფრთხილთ და წყნარათ მიიპარებოდა დიდს დედალს ობობიასთან, რომელიც თავის ბუდეში იჯდა. მამალი ობობია ხან წინ გაიწევედა და ხან ისევე უკან დაიხედა შიშით; ბოლოს ის გაიქცა, უეცრათ შეახტა ზურგზე დედალ ობობიას, მოჭხვია ხელები და მოემზადა თავის საქმის შესასრულებლათ; მაგრამ დედალი ობობია რაღაც ნაირათ მობრუნდა, უეცრათ ჩაავლო პირი საწყალს ქმარსა და ერთს წამში სული გააგდებინა“.—

ობობიებს აქეთ გრძალი, მოკაკული, ნისკარტივით ყბები და იმით იკბინებიან ხოლმე; ყბაში გადის ღარი ისე, როგორც გველის კბილში; კბენის დროს ამ ღარით გამოდის გესლი და მსხვერპლის სხეულში ჩადის. პატარა ბუზანკლებს ეს გესლი ან იმწამსვე მოკლავს და ან გააბრუებს, ისე რომ ცოტა ხანს ვეღარ გაინძრევა და ამ დროს ობობია, თუ მშიერია, შესჭამს თავის მსხვერპლსა და თუ არა, შეკრავს მაგრათ ქსელით და შემდგომისთვის შეინასავს.—ძაცს კი, როგორც ზევით ვთქვი, ეს შხამი მაგდენათ ვერ ავნებს; მხოლოთ მორიელის კბენა საშიშოა, ისიც იმ ქვეყნებში, საცა უფრო ცხელა და საცა ამისგამო საზოგადოთ უფრო მავნებელი მორიელები და სხვა ცხოველებიც არიან; რასაკვირველია, რადგანაც ჩვენი ქვეყნაც თბილ ქვეყნათ ჩაეარდება, ამიტომ ჩვენშიაც არიან გესლიანი

არჩელები და იმათ კბენას უნდა უფრო-
ბლდებოდეს კაცი.—

ს. მ.

— მითმა სახალხო შკოლის მასწავლე-
ელმა ავსტრიაში გამოზარდა აბრეშუმის ჭია
ებით შკოლაში, ასე რომ მოწაფეები თავის
ავალით უყურებდნენ იმათ ცხოვრებას და აღ-
ილიათ შენიშნავენდნენ რამდენ ნაირათ იცვლე-
ა ჭია, სანამ პარკათ იქცევა და ძაფი გამო-
ქვთ. მითონ ყმაწვილები უფლიდენ ჭიებს,
რასაკვირველია, მასწავლებლის დარიგებისა-
ებრ, აქმევენდნენ ფურცელს და ძალიანაც ეხალი-
ებოდათ ამ ნაირი საქმის შოვნა. ზოგიერთს
მოწაფეებს მასწავლებელმა მისცა რამდენიმე
ჭია შინ გამოასაზრდელათ; ისინი ისე გულს-
ბოდნენთ უფლიდენ, რომ არაიის არ მოკე-
დომია ჭიები და ცოტ-ცოტა აბრეშუმი ყვე-
ლამ მოიყვანა. მხლა იმ მაზრაში, სადაც ეს
შკოლაა, თითქმის ყოველ გლენს აქვს აბრე-
შუმის კვერცხები და მოჰყავს აბრეშუმი; წი-
ნეთ კი ამ საქმესულ არ უგდებდენ ყურად-
ღებას.—

საქმიანო ცნობები

უცბათ მჭრელი დანა.

ზაზეთებში სწერენ, რომ ერთს ანგლიის
ექიმს, სახელათ რიჩარდსონს, მოუგონია ერ-
თი იმ ნაირი დანა, რომელიც ისე მსწრაფ-
ლათ მოჭრის თურმე კაცსგაფუჭებულს ხელს,
ფებს, ან სხვას რასმე, რომ ავთამყოფი ვერც
კი შეიტყოფს. ეს დანა იყო გამოფენაში და
მიაქცია ექიმების ყურადღება. მითონ დანა
მიკრულია ჩარხზე, რომელიც ერთს წამში
ოცდა ხუთჯერ შემოტრიალდება ხოლმე;
ტრიალის დროს შეუშვებენ იმ სხეულის ნა-
წილს, რომლის მოჭრა უნდათ და ერთს წამ-
ში მოკვეთს იმას, ასე რომ ავთამყოფი ვერც
იგრძნობს.

ძუძუმწოვარი ყმაწვილების გა-
მოფენა ლონდონში. 12 ივლისს გა-
იხსნა მულიში ლონდონის სიახლოეს პირ-
ველი ძუძუმწოვარი ყმაწვილების გამოფენა;
ამ გამოფენაზე აუარებელმა მაყურებლებმა
მოიყარა თავი. გამოფენილი იყო 400 ისეთი
ყმაწვილი, რომლებიც შესანიშნავნი იყვნენ

სილამაზით, მოყვანილობით და ჯანმთელო-
ბით. იმოდენმა დედებმა მოიყვანეს თავისი
შვილები გამოსაფენათ, რომ ბევრს უარი უთ-
ხრეს უადგილობის გამო. საჩუქრები აი რა-
ნაირათ იყო დაყოფილი: 75 მან. და ვერცხ-
ლის თასი საჩუქრათ იმ-ს, ვისაც ჰყავდა ყვე-
ლაზე ლამაზი და ჯანმთელი ვაჟი, რომე-
ლიც ამას გარდა წელიწადზე უხნესი არ უნ-
და ყოფილიყო.—75 მან. იმას, ვისაც ჰყავდა,
ამ ხნისევე, ყველაზე ლამაზი და ჯანმთელი
ქალი.—38 მან. იმას, ვისაც ჰყავდა ყველა-
ზე უფრო ლამაზი და ყველაზე უფრო მძიმე
ყმაწვილი, რომელიც აგრეთვე წელიწადზე
მეტი ხნის არ უნდა ყოფილიყო.—შმაწვი-
ლებს გარდა, სუფთა და ლამაზი აკენების-
თვისაც იყო საჩუქრები დანიშნული.

თავის-მკვლელი ზრანციაში.
იუსტიციის მინისტრმა გამოაცხადა ანგარიში,
რომლიდგანაც სჩანს-რამდენს კაცს და რამიზე-
ზის გამო მოუკლავს თავი ზრანციაში 1867
წ: სულ 5,011 კაცმა მოიკლა იმ წელს თავი;
ამ რიცხვში 1591 კაცმა ტვინის ავთამყოფო-
ბის გამო; 988 სხეულის წვლების გამო;
927 სიყვარულისა, შურისა, გარყენილობისა
და სიმთვრალის გამო; 604 შინაური უსია-
მოვნობისა გამო; 554 სიღარიბისა, ან უცბათ
გაღარიბების გამო.—

რამდენიმე სიტყვა ხალხის აღზრდაზე
და განათლებაზე.

სტ. II და უკანასკნელი.

იყო დრო, როდესაც სწავლას უყურებდნენ
როგორც სულის გამამშვენებელს სახსარს,
როდესაც სწავლა უნდოდათ მარტო სწავლი-
სთვის, ცოდნისთვის და არა ცხოვრებაში გა-
მოსაყენებლათ. შექველია, ეხლაც ბევრი
არაიან ისეთნი, რომლებიც მარტო თავის სუ-
ლიერი თვისებების გასამშვენებლათ სწა-
ვლულობენ; ამათ, რასაკვირველია, კუჭი არ
აწუხებს, თავის დედ-მამის, ან წინაპარების
შენაძენის იმედი აქვთ და ამიტომ არ მისდე-
ვენ იმისთანა სწავლას, რომელიც პირდაპირ
ცხოვრებაში გამოადგება კაცს.—საზოგადოთ
კი ეხლა მეცნიერებას ისე უყურებენ, როგო-
რც ცხოვრების გამაუმჯობესებელს სახსარს
და ამიტომაც განათლებულ ქვეყნებში იმის-
თანა საგნებს მიაქცევს ყურადღება, რომლე-

ბიც ყოველი კაცის ცხოვრებაში გამოადგე-
გი, მაგ. მეურნეობა, კაცისა და ცხოველ-
ბის აგებულების ცოდნა და საზოგადოთ ბუ-
ნების კანობის გამოკვლევა, მედიცინა, ტეხ-
ნოლოგია და სხვ.—შველა ეს საგნები საჭი-
როა ყოველი კაცისთვის; განსაკუთრებით
კი იმისთვის ვისაც პირდაპირ ბუნებასთან აქვს
საქმე. მაშასადამე ჩვენი მდაბიო ხალხისთვის,
რომელსაც უმთავრესათ ბუნების კანონებთან
აქვს საქმე, რადგან ის მიწის მუშა ხალხია,
ყველაზე უფრო საჭიროა ამ ნაირი საგნების
ცოდნა. ჩვენი აზრით, ჩვენი სახალხო შკო-
ლების დანიშნულებაც ის უნდა იყოს, რომ
გარდასცეს ხალხს ამისთანა ცხოვრებაში გა-
მოსადეგი ცოდნა; მე დარწმუნებული ვარ,
რომ ხალხი დიდი სიამოვნებით გაგზავნის თა-
ვის შვილებს ამისთანა შკოლაში, რადგანაც
ბეჯითად ეცოდინება, რომ ის ტყუილ-უბრა-
ლოთ არ დაკარგავს იქ დროსა.—

იმისთვის რომ შკოლამ აასრულოს თავის
დანიშნულება და გარდასცეს ხალხს, რო-
გორც ზევით ვთქვით, ცხოვრებაში გამოსა-
დეგი სწავლა, საჭიროა, რომ იმაში წერა-კი-
თხვისა და ანგარიშის გარდა, ასწავლიდნენ
ცოტოდნათ მაინც მეურნეობასა, ოჯახობას
და ზოგიერთ ხელოსნობას. ეს საქმე აი რო-
გორ არის სხვა ქვეყნებში: თითქმის ყოველ
შკოლას აქვს პატარა საბოსტნე და საბაღე
ადგილი, სადაც თითონ ყმაწვილებს, რასაკვი-
რველია, მცოდნე მებოსტნე, და მებაღის
ხელმძღვანელობით, მოჰყავთ სხვა და სხვა
ბოსტნეული წვანილები, ყვანილები, ცოტა
პური, ცოტა ღვინო და სხვ. მებაღეს დაჰყავს
ყმაწვილები ბოსტანში და უხსნის იმათ რანა-
ირათ ამოდის, ვთქვათ, პური, რა ნაირი მიწა
უნდა, როგორ უნდა აამუშაოს ის კაცმა, რო-
მელი იარაღები სჯობია სახნავათ, სამკავათ,
საღეწავათ; აგრეთვე უხსნის იმათ ბოსტნეუ-
ლობის მოყვანას და სხვ. შველა ეს ძალიან
ეხალისება ყმაწვილს: ის სიამოვნებით უგდებს
ყურს თავის მასწავლებელს, ხალხისიანათ ჰკი-
დებს ბარს ხელსა და მუშაობს; ამ რიგათ ის
თავისდა შეუნიშნავათ შეიძენს იმისთანა
ცოდნას, რომელიც ყოველთვის გამოადგება
შემდგომ ცხოვრებაში.—

ამისთანა შკოლების გაწყობა ეხლა ყოველ
სოფელში, რასაკვირველია, ძნელია; მაგრამ,
ზოგიერთ სოფლებში რომ ეხლაც მოხერხ-
დება, ამაში კი დარწმუნებული ვარ, რა არის

საჭირო ამნაირი შკოლისთვის? პირველათ სახლი, მერე საბოტნე ადგილი სახლთან, მერე მასწავლებელი და ბოლოს ხელოსანი კაცი, რომელმანც ხელოსნობა უნდა ასწავლოს. მხლა გავშინჯოთ—შეიძლება ყველა ამანების შოვნა ჩვენში, თუ არა.—

ზოგან ეხლაც არის გამართული ჩვენში შკოლები, მაშ შკოლისათვის სახლის ძებნა საჭირო არ იქნება; უბრალო, წმინდა, სოფლური ოროთახიანი სახლი ძალიან კარგი იქნება ყოველი შკოლისთვის.

შკოლასთან ეზო უნდა ჰქონდეს საბოტნეთ და ბალისთვის; თუ ორი-სამი სოფელი ერთათ მოიყრის თავს და შკოლას გამართავს, მე მგონია, იგეც შეიძლება, რომ ამ შკოლას ნახევარი, ან ერთი დღიური მიწაც შესწიროს საბოტნეთ და ეს ადგილი სრულიად საკმაო იქნება შკოლისთვის; ამდონი ადგილი, მე მგონია, მარტო ერთი სოფელი რომ იყოს, არც იმას დააკლდება ბევრი და სარგებლობა კი, უეჭველია, იქნება; ყმაწვილებს შეუძლიათ ერთ დღიურზე ცოტა ვაზიც გააშენონ, ცოტა პურიც, სიმინდიც, ბოსტნეულიც და სხვ.

შველაზე უფრო ძნელი საქმე ამნაირი შკოლისთვის იმისთანა მასწავლებლის შოვნაა, რომელმანც ჩვენ გლეხებზე უკეთ უნდა იცოდეს ვენახის მოვლა, პურისა და ბოსტნეულის მოყვანა, აბრეშუმის მოშენება და სხ.

ამ გაჭირვებიდან აი როგორ შეიძლება გამოვიდეს კაცი: ჩვენში არის რამდენიმე სამაგალითო ფერმები, რომლებშიაც, რასაკვირველია, უკეთესი სახსრებით და უფრო მომატებული ცოდნით მოჰყავთ სხვა და სხვა მიწის და ხის ნაყოფები. ამ ფერმებიდან გამოსული შაგირდები, მე მგონია, ჯერ ჯერობით ივარგებენ ზემო მოხსენებული საქმისთვის; შემდგომში, თუ შკოლას შეიძლება ექნება, რასაკვირველია, შეუძლია იქირაოს უფრო მცოდნე მეოჯახე.—

შველაზე უფრო ადგილი, ჩემი აზრით, ამ შკოლაში ხელოსნობის სწავლა იქნება; ყოველ სოფელში რომელიმე ხელოსანი კაცი მოაბოვება ხოლმე, ან მჭედელი, ან ხურო, ან ხარატი, ან ხარაზი, ან მეჭურჭლე და ან სხვა რომელიმე. შოველი ხელოსანი მისცემს ნებას, რომ რამდენიმე შაგირდებმა იარონ იმასთან და ისწავლონ იმის ხელობა.—თუ სოფელს შეიძლება ექნება და ერთს ქოხს დაუდგამს ამ ხელოსანს შკოლის ეზოში, რომ

იქ იმუშაოს თავისთვის, ეს კიდევ უკეთესი იქნება.—

რასაკვირველია, რომ ეს ყოველი ისე ადვილი გასაკეთებელი და მოსახდენი არ არის, როგორც ადვილათ იწერება: მე დარწმუნებული ვარ, რომ ამნაირი შკოლის დაარსების დროს ბევრი იმისთანა დაბრკოლება შეხედება კაცს, რომლის გარდაბიჯება პირველში ძნელი იქნება; მაგრამ საქმეც ის არის, რომ ზოგიერთმა დამაბრკოლებელმა შემთხვევამ არ შეაჩეროს კაცი, განსაკუთრებით მაშინ როცა ამისთანა სასარგებლო საქმის ასრულებას აპირებს.—

ჩვენ მუდამ უნდა გვეკონდეს სახეში ის, რომ სხვა ქვეყნებში დიდი ხანია გამართულია ამისთანა სახელოსნო და მასწავლებელი შკოლები ერთათ და კიდევაც კარგათ მიდის. სხვაგან თუ გამართულია—რატო ჩვენში არ გაიმართება? სხვაგან თუ კარგათ მიდის და სარგებლობა მოაქვს—რატო ჩვენში არ წავა კარგათ?—რასაკვირველია, ამ საქმეს ცოტაოდენი საშუალებაც უნდა; თავის თავის სასარგებლოთ, მე მგონია, საზოგადოებამ ცოტა რომ დახარჯოს—არ იხამს ურიგო საქმეს და შემდეგში არ ინანებს... ზოგს, უეჭველია, მართებლობაც შეეწევა ამ კეთილ საქმეს და—ასე ამ რიგათ შედგება პირველში რამდენიმე შკოლა; თუ პირველათ დაარსებული შკოლების საქმე კარგათ წავიდა, მერე, იმედია, სხვაგანაც გახსნიან.—

ს უ რ ა თ ი ყ ო ვ ე ლ - დ ლ ი ე ც ხ ო ვ რ ე ბ ის ა ე რ თ ს პ ა ტ ა რ ა ქ ა ლ ა ქ შ ი . —

მეძინა, ახლა მოაწია დილამ და ავდექი; ჰო, ავდექი; ახლა რა გამოვიდა აქედამ, რომ ავდექი? შერ გამიგია აქამდის—რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება. არ ვიცი მარტო მე ვატარებ ესეთ გამოუთქმელს, უმიზნო ცხოვრებას, თუ სხვანიც ბევრნი; თითქო ყოველი ქმნილება ასრულებს ქვეყანაში იმ მაღალს მიზნობილებასა, რომელიც დაუწყებია იმის სიცოცხლისთვის ბუნებას, და რომლის ასრულება, თავის მხრით, არ შეიძლება, თუ სხვა ბუნების მოთხოვნილებები, როგორც მაგალითათ: ჭამა, სმა და ტანის შემოსევა არ დააკმაყოფილა კაცმა!—მართალია ყოველი ესე ნივთები სულ ბუნებაში იპოვება თავიანთ ბუნებურ სახეში; იმისთვის რომ ეს ბუნებური

საგნები გარდავაკეთოთ მოსახლეობისთვის უნდა გავსწიოთ შრომა, რომელიც აუცილებელი საჭირო არის ყოველ კაცისათვის. მეც ვასრულებ ზოგიერთს ამ ზემოხსენებულს, კანონებს, მეც ვსკამ, ვსვამ და ტანთ ვიცვამ, მაგრამ ამ საცხოვრებელი საგნების შოვნაზედ და მოვარგისებაზედ რომ არაფერს მონაწილეობას არ ვიღებ!.. მჰ! რა ძალიან ფიქრში წავედი ერთი მეც? ასე მგონია უამხანაგო ვიყო! აბა რას აკეთებს, მითხარით, უფალი ა, უფ.—ბ, უფ.—დ, უფ.—ძ, უფ.—ს? იმას რასაც მე ვაკეთებ! ჩემს მეტი რომ არაფერს ყოფილიყო უსაქმოდ, სხვები ყველა რომ საქმეში ყოფილიყვნენ გართულნი, იქნება მაშინ მეც საქმეს გავიჩენდი; ამისთვის რომ კაცს იმისთანა თვისება აქვს, რომ თუ სხვისა კარგი დაინახა რამე, უთუოთ ეცდება თითონაც გადაიღოს თავის თავზედ....

აი სურათი აქაურის ყოველ დღივ დროს გატარებისა, საიღამაც მკითხველები დაინახვენ—თუ როგორ ასრულებენ აქ კაცობრიობის შესახებ კანონებს: ამ ქალაქში ყველა ერთმანერთის განშორებით ცხოვრებს და ჭორობას პირველი ალაგი უჭირავს ასე, რომ ამ ჭორების მიზეზითა ერთი ერთმანეთს აღარ ეკარებიან; ქალები და კაცები სრულებით არსაით არ მიდიან ხოლმე დროს გასატარებლათ. ისევ ღმერთმა უშველოს იმას, ვინც ეს ბუღვარი გააკეთა, სადაც გამობრძინდებიან აქაური საზოგადოების წევრები და იმათ რიცხვში, რასაკვირველია, მეც იქ გახლავარ; სხვა ხეებთ შორის დგას ერთი საჩრდილობელი ხე და იმას ქვეშ დიდი მერხელი; ამ მერხელზედ შეიკრიბებიან ხოლმე აქაური კეთილშობილი მცხოვრებელნი; ეს შეკრებულობა დაიწყება დილის ათი საათიდან და რჩებიან იმ ზემოხსენებულს ხეს ქვეშ თორმეტს საათამდინ, ესე იგი მინამ სომხების ეკკლესიიდან მოხსმის ხმა ზარისა, შუადღის ნიშანი; მაშინ კი იქიდან დაიშლებიან და მიდიან თავინთ სახლებში. საღამოს მეექვსე საათზედ ისევე შეიკრიბებიან; მაგრამ უნდა მოგახსენო ამ ჩვენს სასაიერნო ბაღში რა ამბავი გინდა არ გაიგონო: ზოგი კარგი და ზოგი ჭორები, მაგრამ უფრო მეტი კი ჭორები, იქ მოხდება ერთმანეთის მტრობაზედ რჩევა, იმ ხის ქვეშ მჯდომარენი, როგორც წევრნი პარლამენტისა, გამოსთქვამენ თვითიული თავიანთ აზრებსა; რაზედ-ნეტავი შეგატყობინათ? იმაზედ თუ



გორ უფრო კარგათ ჩაეგდოთ გამოუსვ-
ელს და ღრმა ორმოში ჩეენი, გარემოებით
თავის უხეირობით, დაერდომილი მეზობე-
ნი. იმის მაგიერათ, რომ მისცენ რჩევა, და
მოიყვანონ დაერდომილი იმ მდგომარეო-
დან თავიანთის შემწეობით და კეთილის
ტყვიით, ისინი იმას სცდილობენ, რომ უფრო
სცენ. აი როგორი გახსნილი და ჭკუით
იდარო საზოგადოება არის ამ ქალაქში.
მრთმანეთის შემწეობის და ხელის გამარ-
ის მაგიერათ, საუბედუროთ, კაცები ხშირათ
ს სცდილობენ, რომ ჭკუიანი გააუჭკუნონ,
იდარი გაღარბონ და პატიოსანი გააუპა-
როსნონ.—ამას წინეთ მე შევედი ერთი
ხუცებული ქალის სახლში და ვნახე, რომ
დევცემული სახლის პატრონი დამჯდარიყო
ბტხედ და ქალაღდს შლიდა. იმან საიდუ-
ოთ მითხრა, რომ აქ ერთი ჩეენი მეზო-
ის მამულს ჰყიდიანო და ქალაღდს ვკით-
—შეიძლებს ჩემი ვაჟი იმის ყიდვას, თუ
ა.—ამნაირ საქმეებში ატარებენ უმეტეს
ილათ აქ დროს.—რასაკერველსა, რაც
ა მიღის, იგებენ რომ ამნაირი ცხოვრება
ყოფოა და სცდილობენ, როგორც
ობა, გაუმჯობესობას.
ბ. . . . შეილი.
გვისტოს 8.ს
869 წელსა.

სხვა და სხვა ამბავი

მეციაში ქალებს აქვთ მიცემული ნება
ობაზე ეგზამენის დაჭერისა, და იქ ეხლა
ი ექიმი-ქალები მოიძებნებიან; გაზეთებ-
სწერენ, რომ ეხლა საქალებო გიმნაზიები
უნდათ გარდააკეთონ, რომ იქიდან პირ-
არ უნივერსიტეტებში შესვლა შეეძლოთ,
როგორც კაცების გიმნაზიიდანო. თუ მარ-
ლობა უმაღლესი სწავლის მიღების ნებას
ეცხ ქალებს, მაშ, ცხადია, იმ ნაირ ღონის-
ასაც მიიღებს, რომ ამ სწავლამ იმათ ტყუ-
უბრალოთ არ ჩაუაროს; ესე იგი, იმედია,
იმათაც მიიღებენ შემდეგში იმისთანა
იღებზე-სამსახურში, სადაც აქამდე მარტო
ები იყენენ.—
ატკში იყო დანიშნული კომისია, რომ
საც სახალხო განათლებაზე უნდა მოე-
არაკნა; ამ კომისიის ანგარიშში სხვათა
ის სწერია: „რომ ხალხისთვის აუცილე-

ბელი საჭიროებაა მეურნეობისა და საზოგა-
დოთ იმისთანა საგნების ცოდნა, რომელიც
ყოველ სოფლის კაცს გამოადგება ცხოვრე-
ბაში. ამ ნაირი ცოდნის ხალხში გასაერცე-
ლებლათ უნდა გაიხსნეს საზოგადოების ხა-
რჯით საშუალი „მეურნეობის შკოლა“ სადაც
მოიმზადებიან პირველ დასაწყისი სოფლის
შკოლების მასწავლებლები. ამ შკოლასთან
უნდა იყოს ისეთი სამაგალითო ფერმა, რომ
მელშიაც შეაგრდები იმუშაებენ და ამრიგათ
ნამდვილათ გაიცნობენ მეურნეობას.“ (ამნაირ
შკოლებზე მკითხველი უფრო მეტს შეიტყობ
ამავე წიგნის ერთს სტატიაში).

ჩემი ანა.

მასხოვს ის დრო, ოდეს ტურფას
ბრძობითა მეც დახაროდი,
მასთან ტიკტიკს, მასთან ყოფნას
სამოთხეშიც არ გავცვლიდი.—
მამობდი ჩემს გულში ხშირად;
ვენაცვალე ჩემსა ანას,
რა ღამაში არის პირად,
მინ სჭვრეტს ქალსა იმისთანას.

მაგრამ ახლა ჩემი ანა
მომრჩა და არ გამიტანა.
ღმერთმა ყველას ავაშოროსთ,
ძმანო, ბედი ჩემისთანა!

მდეს მაგვიანდებოდა
და მის ანბავს ვერა ვსცნობდი,
ჯაფრით გული მიკედებოდა
და ტანჯვას მარად ვგრძნობდი.

შემდეგ მასხოვს მე, ის ხშირად
ნახვითა გაიხარებდა;
საყვედურის მაგიერათ,
ტუნს ტუნხვდა მომაკრავდა.

მაგრამ ახლა მომრჩა ანა,
სრულებით არ გამიტანა.
ღმერთმა ყველას ავაშოროსთ,
ძმანო, ბედი ჩემისთანა!

სანამ ვიყავი მასთან,
სანამ სახე მიყვოდა,

მანამ თურმე ჩემი ანა
ტრფობის ძალით დამხაროდა.
—
ახლა რა სცნო, რომ ჭალარა
თმაშიდა შამომებარა,
მსწრაფლათ ჩემგან საყვარელმან
რილით სახე დაიფარა.

და ახლა სულ მომრჩა ანა,
მომრჩა და არ გამიტანა,
ღმერთმა ყველას ავაშოროსთ,
ძმანო, ბედი ჩემისთანა.
—
მე შეტომა მომივიდა,
ახლა რალა გაეწყობა!
მაგრამ სხვასაც შიში მართებს,
მინც დედა-კაცს დაენდობა!

მიცი რომე ბევრმა სულმა
ღამას გული დაამყარა;
მაგრამ ჩემებრ სიყვარულმა
ბოლოს ყველას დაამწარა.
—
შეადლომ ღმერთსა! მომრჩა ანა,
მომრჩა და არ გამიტანა,
თქვენ კი ღმერთმა ავაშოროსთ,
ძმანო, ბედი ჩემისთანა!

ბ. შალადი დელი.

1869. წ. 4: აგვისტოს
ს. შალადიღს.

უოჩბა

თბილისიდან ფოჩბა მიღის: ო რ შ ა ბ ა -
თ ო ბ ი თ მ რ ე ე ა ნ შ ი და ჯ უ ლ ფ ის ა კ ე ნ . — ს ა მ -
შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბ ა ქ ო ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი და შ ე -
მ ა ხ ა შ ი — მ ს უ ბ უ ქ ი ფ ო ჩ ბ ა . — მ თ ხ შ ა ბ ა თ ო -
ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი, მ ტ უ ა ის შ ი — შ ო თ ა მ დ ი ნ , მ რ ე -
ე ა ნ შ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო პ ო ლ შ ი და ნ ო ე ო ბ ა ი ა ზ ე თ -
შ ი . — ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი . —
პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ — მ ტ უ ა ის შ ი, მ ა ნ ე თ შ ი და
მ რ ე ე ა ნ შ ი . შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი და
შ ე მ ა ხ ა შ ი . — ძ ე ი რ ა ო ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი და
მ ტ უ ა ის შ ი .

ბელეზრაში.

ღებვის გასაგზავნი ფასი თბილისიდან:
მტუთისში, ბაქოს, მლადიკაეკას, მრპი-
რს, შოთს, მრეეანს, ახალციხეს, ნუ-
ხას, შემახის—1 მან.. ასტრახანს, მერჩში,

მოსკოვს და ოდესსას—2 მან.—ზორს, სი-
ლნალს—50 კაპ.—ვეტერბურს, ჭენეცას, სტამ-
ბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—
3 მან. და 38 კაპ.—

ჰ. შუთაისის უმოსავალი 1869 წლისა,
დამტკიცებული მისის უმალესობის
ძავეკასიის ნამესტნიკისაგან.

შემოსავალთ სახელები.	მან.	კაპ.
1 საქალაქო ცარიელი ადგი- ლებიდან. — — —	3,000	"
2 სასწორიდან და საზომავი- დან. — — — — —	4,383	"
3 საკასპოდან. — — —	1,600	"
4 როინით ჩამოტანილ ტი- ვებიდან. — — — — —	90	"
5 შკლარის ქვის სამტურევი.	300	"
6 შძრავი ქონების დაფასების.	11,796	40
7 საღუქნე ადგილების და- ლა (თითოს 50 კაპ.). —	237	50
8 მღებრების (თითოს 15 მან.)	105	"
9 1/4% (სარგებელი) აქაუ- რი ვაჭრების კაპიტალისა.	1,500	"
10 1/4% (სარგ.) უცხო ქვეყ- ნის ვაჭრების კაპიტალისა.	627	25
11 1/4% (სარგ.) დროებით აქ- მყოფის ვაჭრების კაპიტა- ლისა. — — — — —	500	"
12 მოხელეებიდან (2 მან.) და ხელოსნებიდან (1-მან.) —	850	"
13 პრიკასნიკებიდან (2 მან.).	100	"
14 მოსამსახურებიდან (თი- თოსაგან 50 კაპ.). — —	300	"
15 შავხანებიდან (თით. 5 მ.).	25	"
16 ღუქნების (თითოს 12 მ.).	1992	"
17 მეფურგუნეებიდან (თით. 5 და 10 მან.). — — —	305	"
18 ღალაქების (4 მან.). —	44	"
19 სასტუმროებიდამ (შემო- სავალზე ჰკიდი). — —	283	33 3/4
20 შეტონებიდან (7 მან.).	490	"
21 შექსილებიდან და სესხის ბარათებიდან. — — —	585	89
22 აუქციონური გაყიდვიდან.	60	95
23 სააქციზო ღალა 20% —	3,253	"
24 ჯარიმის ფული. — —	700	"
25 ძველი ვალიდან. — —	15,850	57 1/2
26 ადგილობრივი შემოსავ- ლიდან შემწეობა პოლი- ციის შესანახად. — —	4,250	"
27 ზემსტვოს ჯამიდან შე- მწეობა სამხედრო პირების უწინდელ სახლის ქირის გარდასახდელად. — — —	12,505	64 1/4
ს უ ლ. . .	65,732	74 1/2

ჰ. შუთაისის უმოსავალი 1869 წლისა.

ზასავალთ სახელები.	მან.	კაპ.
1 პოლიციის ჩინოვნიკები- სათვის — — — — —	10,613	"
2 შალაქის არხიტექტორს.	975	"
3 პოლიციის მოსამსახურე- ბის ტანისამოსისათვის. —	525	"
4 პოლიციის სახლის შესა- კეთებლათ. — — — — —	60	"
5 სახელმწიფო ქონების შე- სანახავი სახლის ქირა (სა- ტუსალოსთან) და სხვა საჭი.	500	"
6 შეშა და სანთელი სატუ- სალოში. — — — — —	2,028	50
7 შ. ხიდების მაყურებელთ და თხრილების გასაწმენდათ	500	"
8 შუჩების გაკეთება ქალა- ქის ცარიელი ადგილების წინ და ღარიბების ადგი- ლების წინ. — — — — —	3,000	"
9 შალაქის განათლებისა- თვის (100 ფარანი). — —	3,300	"
10 შუჩების გასაწმენდად და ილუმინაციისათვის დიდი უქმეების დროს. — — —	600	"
11 შუთაისის ბულვარისათვის.	1,720	"
12 საღარიბის ზედამხედველს და ორს ტყის აცველს. —	250	"
13 შუჩების სისუფთავის და თხრილების სიწმინდის ზედამხედველებს. — — —	2,040	"
14 ბულვარის ახალი გალავ- ნისათვის. — — — — —	1,500	"
15 სახლის ქირა სამხედრო პირებისათვის 1869 წლამდი.	12,505	64 1/4
16 მოულოდნელი გასავალი; 17 ბლანკების, კვიტანციების და განცხადებების დასაბე- ჭლათ. — — — — —	1000	"
18 პოლიციის საათისათვის.	300	"
19 1869 წლის სახლის ქირა სამხედრო პირებს. — — —	112	"
20 შუჩის ფანრების და მათი სვეტების ფასი. — — —	7053	"
21 პოლიციამეისტერის სახ- ლის ქირა. — — — — —	100	"
22 შალაქის ექიმს — — —	600	"
23 ზების — — — — —	980	"
24 შელშარს. — — — — —	390	"
25 შუთაისის სატუსალოს მწე- რალს და სტორაქს — — —	200	"
26 საკანცელარიო ხ.რჯად სატუსალოს ზედამხედველს.	240	"
27 შოსსეს შეკეთებისათვის სამოქალაქო სახლების, ბუ- ლვარის, მაედნების და ღა- რიბების სახლების წინ. —	57	14
28 იორდანის გასაწყობლად.	1,600	"
	60	"

29 სამხედრო მმართველობის ვალის გარდასახდელად რომელიც აღებულია 1858 და 1869 წ. პოლიციის ასაშენებლად. — — —	2,952	17 1/2
30 პოდრიადჩიკს ზალინოვს სმეტის გარდა მუშაობისათ- ვის პოლიციის აშენების დროს. — — — — —	1,220	"
31 ზემსტვოს ვალის გარდა- სახდელად. — — — — —	712	"
32 სამხედრო უწყების ფუ- ლების გარდასახდელად, რომელიც დაინარჯა 1866 და 1867 წ. არესტანტების სადგომის განათლებისა- თვის და გათბობისათვის.	986	"
33 მომრიგებელი განყოფი- ლების შესაწევად. — — —	300	"
34 პოლიციაში გაზეთების დაბარებისათვის. — — —	28	50
35 პოლიციასთან შენობისა- თვის. — — — — —	1,205	24 3/4
36 საყანთროს აშენებისა- თვის. — — — — —	929	"
37 შუჩის ხიდების და თხრი- ლებისა. — — — — —	1000	"
38 შალაქის მცხოვრებლების ჰაგიერ ხარჯის გარდასხდა.	362	44
ს უ ლ. —	63,404	64 1/2

სახალხო სიმღერების

გ ა მ ო ც ე მ ა .

შასი თითო ნუმრისა ყველგან 2 კაპეკი
ანუ 4 გროში.
ისყიდება უ. მელიქიშვილის სტამბაში, პო-
ლიციის ახლოს.
„მნათობის“ სტამბაში, ქუკიაში, აქვალის
ქუჩაზედა.
შ. ალადათოვის წიგნის მაღაზიაში.
შარტველ ყმაწვილ კაცს, რომელსაც შეუ-
სრულებია სწავლა პარიჟში, ჰსურს ასწავლოს
შრანციზული ენა. ადრესი იკითხეთ მელიქი-
შვილის სტამბაში, ხანის ქუჩაზე მებუთოვის
სახლებში.